

# საკანონმდებლო სიახლეების

## ცნობარი

(2019 წლის ივლისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2019 წლის ივლისის თვეში.

### საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება

2019 წლის 10 ივლისს ცვლილება შევიდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში. კერძოდ დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. სამშენებლო დოკუმენტის იმგვარი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმებული ობიექტის განაშენიანების ფართობის ცვლილებას 20%-ზე მეტად ან ამ ობიექტის ფუნქციის ცვლილებას, დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული უნდა იქნეს თავიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“

ასვე მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> პუნქტი:

„2<sup>1</sup>. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული განაშენიანების ფართობის ცვლილების შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის უფლებრივი ზონირების ცვლილებით დამკვეთს ერთმევა შესაძლებლობა, ზონის ცვლილებამდე დადგენილი ან კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული პარამეტრები აითვისოს მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურის თავიდან დაწყების გზით.“

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება

2019 წლის 3 ივლისს ცვლილება შევიდა „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში. კერძოდ, 2104.1 ქვეთავის გამონაკლისი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გამონაკლისი:

1. არ არის აუცილებელი, არსებული გზა-კიბე 1009-ე ქვეთავის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს, თუ არსებული სივრცე და კონსტრუქცია დახრის შემცირების საშუალებას არ იძლევა.
2. სახელურები, რომლებიც სხვა შემთხვევაში 1009.2 ქვეთავს უნდა შეესაბამებოდეს, არ არის აუცილებელი, აკმაყოფილებდეს 1012.6 ქვეთავის მოთხოვნებს სახელურების მთლიანად გაგრძელების შესახებ, თუ ასეთი გაგრძელებები საფრთხის გამომწვევი იქნება გეგმის კონფიგურაციიდან გამომდინარე.
3. სვ-2 დაკავებულობების მქონე არსებული მრავალბინიანი სახლების სხვენი დასაშვებია, გადაკეთდეს დახრილჭერიან საცხოვრებელ სივრცედ – მანსარდად, ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობის გათვალისწინებით:
  - 3.1. არსებული შენობა არ არის მაღლივი და შენობის სხვენის მანსარდად გადაკეთების შემთხვევაში, შენობა მანსარდის სართულიანად არ უნდა იყოს 8 სართულზე მეტი.
  - 3.2. დაუშვებელია, წესებთან შეუსაბამო შენობაში არსებული გზა-კიბის შეუსაბამობის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.
  - 3.3. თუ შენობაში არსებული გზა-კიბე გრძელდება სხვენის დონემდე, შესაძლებელია სხვენის ისეთ მანსარდად გადაკეთება, რომ იყოს ცალკე საცხოვრებელი ერთეული (ბინა).
  - 3.4. თუ შენობაში არსებული გზა-კიბე არ გრძელდება სხვენის დონემდე, შესაძლებელია სხვენის ისეთ მანსარდად გადაკეთება, რომელიც იქნება სხვენის ქვემოთ მდებარე საცხოვრებელი ერთეულის (ბინის) ნაწილი, სადაც დონეები ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება საცხოვრებელ ერთეულში (ბინაში) ამ წესის შესაბამისად მოწყობილი კიბით.
  - 3.5. სხვენის მანსარდად გადაკეთებისას დასაშვებია, შენობის თითოეული სადარბაზოს მანსარდის სართულზე დაკავებულობის დატვირთვა იყოს მაქსიმუმ 15 და გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილი გაიზარდოს მაქსიმუმ 20 მეტრით.
  - 3.6. დაუშვებელია ქუჩაზე გამავალი არსებული გარე კედლ(ებ)ის, მთავარი ფასად(ებ)ის სიმაღლის გაზრდა.
  - 3.7. დასაშვებია სხვა გარე კედლების ქუჩაზე გამავალი არსებული გარე კედლის მთავარი ფასადის სიმაღლემდე გაზრდა.
  - 3.8. მანსარდის სართული უნდა იყოს წესის 1208.2 პუნქტის შესაბამისი სიმაღლის.
  - 3.9. დასაშვებია სახურავის არსებული კეხის სიმაღლეში არა უმეტეს 1 მეტრით გაზრდა, მაგრამ მანსარდის იატაკიდან კეხის თავამდე სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 4.0 მეტრს.
  - 3.10. სახურავის ქანობი კეხის თავიდან გარე კედლამდე უნდა იყოს სწორხაზოვანი.

3.11. დასაშვებია მანსარდის ბუნებრივი განიავებისა და განათებისათვის ღიობების მოწყობა წესის შესაბამისად.

3.12. მანსარდის კედლებისა და ჭერის დამალულ სივრცეში გამოყენებულ უნდა იქნეს უწყვი და არატოქსიკური ჯგუფის თბოსაიზოლაციო მასალა. მანსარდის დახრილჭერიანი მლობავი კონსტრუქციების ცეცხლმდეგობა გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 15 წუთისა. მანსარდის კედლებისა და ჭერის კონსტრუქციებში გამოყენებული უნდა იყოს ცეცხლმდეგობისათვის დამუშავებული ხის მასალა.“.

დადგენილენა ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

### საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება

2019 წლის 5 ივლისს ცვლილება შევიდა „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში. კერძოდ, დაემატა შემდეგი შინაარსის 2<sup>2</sup> მუხლი:

„მუხლი 2<sup>2</sup>. ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება იმ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, რომლებსაც უნებართვოდ ან სხვა მიზეზის შედეგად ნაწილობრივ დაშენების, მიშენების ან/და მანსარდის მოწყობის გამო დაკარგული აქვთ დასრულებული არქიტექტურული იერსახე და, იერსახის მოწესრიგების მიზნით, ერთიანი პროექტის საფუძველზე, უნდა გაიცეს დაშენების, მიშენების ან/და მანსარდის მოწყობაზე მშენებლობის ნებართვა.“.

დადგენილენა ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

### საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“

2019 წლის 30 ივლისს დამტკიცდა საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ თანდართული ინსტრუქცია. ინსტრუქცია განსაზღვრავს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაბამისად დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულო და ნებაყოფლობით გაწევრიანებასთან და საპენსიო შენატანების (შემდგომში – საპენსიო შენატანი)

გადახდასთან დაკავშირებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ დამტკიცებულ წესებს, ინფორმაციის წარდგენის ფორმებს, ზედმეტად ან/და არასწორად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის წესებსა და პროცედურებს.

დადგენილენა ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილება

2019 წლის 17 ივლისს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლისა და „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 ივნისის №292 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად დამტკიცდა „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ელექტრონულად შესავსები ფორმა, „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ საბეჭდი ფორმა და „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმის შევსებისა და დადასტურების წესი.

დადგენილება ამოქმედდა 2019 წლის 20 ივლისიდან.